საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/125

ქ. ბათუმი

25 სექტემბერი, 2020 წ

2020-2021 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვალენსიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ 2020 წლის 11 სექტემბრის № 01-02/117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2020 წლის 24 სექტემბრის MES 0 20 0000885057 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020-2021 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვალენსიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ 2020 წლის 11 სექტემბრის № 01-02/117 ბრძანების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გამოცხადდეს კონკურსი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვალენსიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2020 წლის 01 სექტემბრიდან 28 სექტემბრის 18:00 საათამდე ელექტრონულ ბმულზე (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით)

http://registration.bsu.ge და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ელექტრონულ ფოსტაზე erasmus@bsu.edu.ge .

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2020 წლის 29 სექტემბერი** - 10:00 საათზე, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

გ) გამოცდა ინგლისურ ენაში (ტესტირება ინგლისურ ენა B2 დონე, ვალენსიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მოთხოვნით - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის,) 2020 წლის 29 სექტემბერი (№ 35-ე აუდიტორია, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი) 11:00 საათზე.

დ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2020 წლის 29 სექტემბერი 13:00 საათზე (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან (მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

ე) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - 2020 წლის 30 სექტემბერი.წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.
3. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**